საქართველოს უნივერსიადა - 2026

დებულება
ფრენბურთი
(ვაჟები, გოგონები)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის გუნდებს, რომელთა შემადგენლობაში უნდა იყვნენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- თითოეულ უნივერსიტეტს შეუძლია წარმოადგინოს ჯამში 2 გუნდი (გოგონათა და ვაჟთა), განაცხადში შეიძლება მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 12 მოთამაშის შეყვანა. შეჯიბრის დაწყებამდე გუნდების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ განაცხადში შეყვანილი ყველა მოთამაშის პირადობის მოწმობის ასლი და სტუდენტობის დამადასტურებელი საბუთი.
- ტურნირის მონაწილეს არა აქვს ორ სხვადასხვა გუნდში თამაშის უფლება.
- ტურნირში მონაწილეობის უფლება არ აქვს 29 წლის და მეტი ასაკის სტუდენტებს. - მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან იქონიონ ორი განსხვავებული ფერის ფორმა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის ლოგოთი.

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი ფრენბურთში ვაჟთა და გოგონათა შორის ჩატარდება ამა წლის 20 აპრილიდან - 30 ივნისამდე პერიოდში. თბილისში, აკაკი ბელიაშვილი ქ. (თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი)

- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 8 აპრილი

- ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას

3. ჩატარების სისტემა

- მონაწილე გუნდები დაიყოფა 4 ჯგუფად.
- ჯგუფებში შეხვედრები გაიმართება წრიულად (ერთ წრედ).
- ჯგუფში მოპოვებული ქულების შესაბამისად I – II ადგილზე გასული გუნდები ჯვარედინად (ა1-დ2; ა2-დ1;) შეხვდებიან ერთმანეთს ნახევარფინალში, ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები ითამაშებენ III ადგილისათვის, ხოლო გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში.

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. სადისციპლინო სასჯელი

განაცხადში არ მყოფი სპორტსმენის თამაშის ან სათანადო საბუთების არ ქონის შემთხვევაში დამრღვევ გუნდს ჩაეთვალება წაგება, განმეორების შემთხვევაში მოიხსნება შეჯიბრიდან. მატჩიდან გაძევებული მოთამაშის დისკვალიფიკაციის საკითხს განიხილავს საორგანიზაციო კომიტეტი. პროტესტის შეტანა ხდება მატჩის დასრულებიდან 1 საათის განმავლობაში.

გამოუცხადებლობის ან 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების შემთხევაში გუნდს ჩაეთვლება წაგება - 0-2. განმეორების შემთხევაში მოიხსნება ტურნირიდან და განიხილება შემდგომ ტურნირებზე მისი არდაშვების საკითხი. თუ მოხსნილ გუნდს ჩატარებული აქვს ჯგუფური ტურნირის თამაშების 50 % და მეტი, ყველა დანარჩენ შეხვედრაში ჩაეთვლება წაგება 0 : 2, თუ 50 %-ზე ნაკლები, მისი მატჩების შედეგები უქმდება.

5. ჩატარების პირობები

ტურნირი ტარდება FIVB წესების შესაბამისად.

6. მსაჯობა

ტურნირს მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

7. დაჯილდოება

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებს.

I ადგილი - 2000 ლარი,
II ადგილი - 1500 ლარი;
III ადგილი - 1000 ლარი;

ყველა ხარჯი დაფინანსებულია საქართველოს სპორტის სამინისტროს მიერ.

აღნიშნული უნივერსიადის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს 600 მდე სტუდენტი.

8. პასუხისმგებელი პირი: მეგი კარანაძე - 557 75 85 27

ვამტკიცებ,
საქართველოს საუნივერსიტეტო
სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი
ნინო გიგინეიშვილი